თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 3

ქ.თერჯოლა 6 თებერვალი 2024 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. თემური ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. გოჩა ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. შალვა ჭანკვეტაძე, 3. კახა ბუცხრიკიძე, 4. ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის № 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282403632 წერილი);

/მომხს.თ. ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“-ს (ს/კ 412670097) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28240361 წერილი, 05/02/2024წ).

/მომხს.ბ. ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ,ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა -144,4 ათასი ლარით და შეადგენს 30067.4 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 102,3 ათასი ლარით (გრანტი).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 246,7 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 103,3 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 103,3 ათასი ლარით (ტრანსპორტის ხარჯი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 247,7 ათასი ლარით. მ/შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 207.7 ათასი ლარით (ნაგავმზიდი მანქანის შეძენა).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10,0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზდა 30.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი

განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს (ს/კ 412670097) განკარგულების პროექტი - შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“-ს (ს/კ 412670097) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქირავნობის ფორმით 6 (ექვსი) თვის ვადით გადაცემული ქონდა ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა № 117-ში მდებარე (ს/კ 33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2024 წლის 26 იანვარს. 2024 წლის 8 იანვრის №278/38/04 წერილით კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი კომპანიას გადაეცეს 1 (ერთი) წლის ვადით და ქირავნობის საფასური განისაზღვროს 2010 (ორი ათას ათი) ლარის (167.50 ლარი) ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაN117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“-ს (ს/კ 412670097).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი